

**მემინანქრე 080355**  
**პროფესიული სტანდარტი**

**I. სფეროს აღწერა**

მინანქარი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ერთერთი ტრადიციული დარგია. მინანქრის ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები დღესაც დიდი ინტერესით სარგებლობს და მრავალფეროვანი ფუნქციური დანიშნულება გააჩნია.

**II. დასაქმების სფერო**

კურსდამთავრებული შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ შეიძლება დასაქმდეს საიუველირო ქარხანაში, საოქრომჭედლო სალონებში, ასევე თვითდასაქმების გზით.

**III. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია**

მემინანქრის საგანმანათლებლო პროფესიული განათლება არის ერთსაფეხურიანი - III საფეხური. III საფეხურზე შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა. კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მემინანქრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 30 კრედიტს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 60%. კურსდამთავრებულს ენიჭება მემინანქრის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია.

**IV დამატებითი მოთხოვნები**

პრაქტიკის მასწავლებელს მოეთხოვება სპეციალობით მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება.

**V. მემინანქრის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი**

მემინანქრის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესების და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>იცნობს ტიხრული მინანქრის წარმოების შემდეგ ტექნიკურ მეთოდებსა და პროცედურებს: ლითონის სხმულის, ლითონის ფირფიტის მომზადებას მუშაობისთვის, ტიხრების დამზადებას, ლითონის ზედაპირზე ფონდონის დადებას, ტიხრების დაწებებას, მიმაგრებას სხმულის ან ფირფიტის ზედაპირზე, მინანქრის ფერის დადებას, გამოშრობას, გამოწვას, კონტრემალის დადებას, კონტრემალის მოცლას, გაპრიალებას. აცნობიერებს მინანქრის სხვადასხვა სახის ნაკეთობათა შესასრულებლად აუცილებელ პროცედურებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია შეაფასოს შესასრულებელი სამუშაოს სირთულე და გარკვეული დამოუკიდებლობით შეარჩიოს მის განსახორციელებლად საჭირო ინსტრუმენტები, მასალა და მუშაობის მეთოდი.</p>
<p>დასკვნის გაკეთების უნარი</p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია ტიხრულ მინანქარზე მუშაობისას განსხვავებული სამუშაოების ჩატარების დროს წარმოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად მოიპოვოს ინფორმაცია ცნობილი წყაროების მეშვეობით, დაამუშაოს, გამოიყენოს და მიღებულ შედეგებს გაუკეთოს სწორი შეფასება და ანალიზი შემდგომი სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ტიხრული მინანქრის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე კოლეგებთან და დამკვეთებთან მშობლიურ და უცხო ენებზე. განსხვავებულ სიტუაციებში ეფექტურად იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.</p>

სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია სტანდარტული სამუშაოს შესრულების პროცესში დამოუკიდებლად მოიპოვოს დამატებითი ინფორმაცია სპეციფიური ამოცანის გადასაჭრელად, ტექნიკური ან ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესების მიზნით.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	გაცნობიერებული აქვს მის მიერ არჩეული პროფესიის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის როლი თანამედროვეობაში და თავისი საქმიანობით პოპულარიზაციას უწევს მას. იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს, მკაცრად იცავს უსაფრთხოების წესებს, აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა სამუშაო პროცესისადმი.